ბოშათა, როგორც ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემები და გამოწვევები განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით საქართველოში

შალვა ჩიკვილაძე
მაგისტრანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ბოშათა თემი იმ ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნება, რომლებიც განსაკუთრებული მარგინალიზაციით ხასიათდებიან მთელ მსოფლიოში. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. საქართველოში მცხოვრები ბოშები მოკლებულნი არიან ჯანდაცვის, განათლების კარიერული წინსვლისა და სხვა შესაძლებლობებს.

ბოშათა მარგინალიზაციას ხელს უწყობს ისეთი სისტემური და საზოგადოებრივ-სტერეოტიპული პრობლემები, როგორიცაა მათი ცხოვრების არამკვიდრი წესი, წეს-ჩვეულებები, ადგილობრივ მოსახლოებასთან ინტეგრირების დაბალი სურვილი და მზაობა, საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები, სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ყურადღება და ასე შემდეგ.

ჩამოთვლილ პრობლემათაგან ერთ-ერთ უმთავრესს წარმოადგენს ბოშათა განათლება და განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ წარმოშობილი პრობლემები.

საკითხის კვლევა და პრობლემების გამოვლენა-გადაჭრის მეთოდების შემუშავება უმნიშვნელოვანესია ქვეყნისათვის დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების დაცვისაკენ მიმავალ გზაზე.

ბოშათა განათლების და ინტეგრაციის საკითხი ჯერ-ჯერობით გადაუჭრელ პრობლემად რჩება ევროპულ მაღალგანვითარებულ საზოგადოებაშიც, სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, საქართველოს მდგომარეობის, პრობლემებისა და მიღწევების პრეზენტაცია ამ საკითხთან მიმართებაში საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს ქვეყანაში დასავლური ფასეულობების - ადამიანის თავისუფლებებისა და თანასწორობის კუთხით.